45. ამ კოდექსის 178<sup>1</sup>-178<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, ხოლო 178<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ერთობლივად ადგენენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

46. ამ კოდექსის 42<sup>5</sup>-42<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილი პირები;

47. ამ კოდექსის 139<sup>2</sup> და 139<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, ხოლო 139<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება – შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირებს.

47. ამ კოდექსის 109-ე და 111-ე-111<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

48. ამ კოდექსის 155<sup>3</sup> -155<sup>6</sup>, 171<sup>1</sup>-171<sup>3</sup> და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

[48. ამ კოდექსის 171<sup>1</sup> მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებებისა, შიარალეული ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 171<sup>3</sup> და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან)]

49. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156);



50. ამ კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

51. ამ კოდექსის 44<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

52. (ამოღებულია).

52<sup>1</sup>. ამ კოდექსის 129<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში ქვეყნის საზღვრების შიგა სივრცეში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ან მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

53. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე, 197<sup>2</sup> და 197<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

54. (ამოღებულია - 28.12.2011, №5662).

55. ამ კოდექსის 185-ე, 185<sup>1</sup> და 185<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

56. ამ კოდექსის 128<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს შინაგან საქმეთა ორგანოები ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

57. ამ კოდექსის 99-ე და 165<sup>10</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

58. (ამოღებულია).

59. (ამოღებულია - 27.12.2011, №5653).

60. ამ კოდექსის 172<sup>4</sup>, 172<sup>5</sup>, 173<sup>6</sup>, 173<sup>7</sup>, 173<sup>9</sup> და 175<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს შინაგან საქმეთა ორგანოების და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, ხოლო ამ კოდექსის 172<sup>7</sup> და 173<sup>13</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

60<sup>1</sup>. ამ კოდექსის 155-ე, 170-ე, 171-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

60<sup>2</sup>. ამ კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი.

61. ამ კოდექსის 96<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს პირველადი წყალმოსარგებლე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

62. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

63. ამ კოდექსის 173<sup>12</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს სასამართლო.

64. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი პენიტენციური დაწესებულებების, იმავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (მათ შორის, არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების) და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე მყოფი სამინისტროს სისტემის მოსამსახურეების მიერ ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში აღნიშნული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილი თანამშრომელი.



65. ამ კოდექსის 159<sup>11</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

66. ამ კოდექსის 196<sup>1</sup>, 197-ე და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის მერს/თბილისის რაიონის გამგებელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეს.

67. ამ კოდექსის 196<sup>3</sup>, 196<sup>6</sup> და 197<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის მერს/თბილისის რაიონის გამგებელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეს.

68. ამ კოდექსის 172<sup>6</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

69. ამ კოდექსის 177<sup>12</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) უფლებამოსილი პირები.

70. ამ კოდექსის 153<sup>7</sup> და 153<sup>8</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

[71. ამ კოდექსის 171<sup>1</sup> მუხლით (შეიარაღებული ძალების დაწესებულების შენობა-ნაგებობაში ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები.

72. ამ კოდექსის 171<sup>2</sup> და 171<sup>4</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები. **(ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან)]**

73. ამ კოდექსის 177<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს (გარდა ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) ადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამოსილი პირი. ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს პოლიციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

74. ამ კოდექსის 191<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ოქმს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

[საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულება №2790 – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, სექტემბერი, 1990 წ., მუხ.241](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1991 წ., მუხ.429](#)

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.1, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 8 ივლისის კანონი №290 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.160](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 13 ივლისის კანონი №298 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.168](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 15 თებერვლის კანონი №416 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №15, თებერვალი, 1994 წ., მუხ.287](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 30 ივნისის კანონი №541 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №19, ივნისი, 1994 წ., მუხ.418](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 23 თებერვლის კანონი №656 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-1995წწ., მუხ.663](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 7 მარტის კანონი №667 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №23-26, დეკემბერ-მარტი, 1994-1995წწ., მუხ.542](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 19 სექტემბრის კანონი №808 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, აგვისტო-ოქტომბერი, 1995 წ., მუხ.689](#)



[საქართველოს 1996 წლის 31 მაისის კანონი №263 – პარლამენტის უწყებანი, №15, 19.06.1996წ., გვ.15](#)  
[საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №313 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ. 32](#)  
[საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №318 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ.26](#)  
[საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი №478 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6, 25.12.1996წ., გვ.11](#)  
[საქართველოს 1996 წლის 27 ნოემბრის კანონი №510 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6, 25.12.1996წ., გვ.4](#)  
[საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი №648 – პარლამენტის უწყებანი, №17-18, 09.05.1997წ., გვ.44](#)  
[საქართველოს 1997 წლის 1 მაისის კანონი №682 – პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31.05.1997წ., გვ. 3](#)  
[საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი №759 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.3](#)  
[საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი №815 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.11](#)  
[საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №974 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.81](#)  
[საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №984 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.83](#)  
[საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი №1025 – პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997წ., გვ. 45](#)  
[საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი №1141 – პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997წ., გვ. 163](#)  
[საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი №1231 – პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998წ., გვ. 24](#)  
[საქართველოს 1998 წლის 28 აპრილის კანონი №1347 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 17](#)  
[საქართველოს 1998 წლის 28 აპრილის კანონი №1349 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 18](#)  
[საქართველოს 1998 წლის 17 სექტემბრის კანონი №1573 – სსმ I, №2, 26.10.1998წ., მუხ.6](#)  
[საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი №1682 – სსმ I, №4, 20.11.1998წ., მუხ.39](#)  
[საქართველოს 1998 წლის 25 ნოემბრის კანონი №1698 – სსმ I, №6, 24.12.1998წ., მუხ.46](#)  
[საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1747 – სსმ I, №1\(8\), 14.01.1999წ., მუხ.2](#)  
[საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონი №1934 – სსმ I, №15\(22\), 14.05.1999წ., მუხ.63](#)  
[საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №1981 – სსმ I, №19\(26\), 04.06.1999წ., მუხ.77](#)  
[საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2070 – სსმ I, №24\(31\), 26.06.1999წ., მუხ.109](#)  
[საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი №2130 – სსმ I, №25\(32\), 02.07.1999წ., მუხ.133](#)  
[საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი №2148 – სსმ I, №27\(34\), 06.07.1999წ., მუხ.143](#)  
[საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონი №2299 – სსმ I, №40\(47\), 11.08.1999წ., მუხ.203](#)  
[საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2382 – სსმ I, №43\(50\), 21.09.1999წ., მუხ.221](#)  
[საქართველოს 2000 წლის 10 მარტის კანონი №199 – სსმ I, №12, 27.03.2000წ., მუხ.28](#)  
[საქართველოს 2000 წლის 24 მარტის კანონი №244 – სსმ I, №13, 13.04.2000წ., მუხ.34](#)  
[საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №285 – სსმ I, №18, 15.05.2000წ., მუხ.47](#)  
[საქართველოს 2000 წლის 14 ივნისის კანონი №380 – სსმ I, №24, 30.06.2000წ., მუხ.65](#)  
[საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №419 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.76](#)  
[საქართველოს 2000 წლის 29 ივნისის კანონი №439 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.77](#)  
[საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი №686 – სსმ I, №51, 30.12.2000წ., მუხ.149](#)  
[საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №753 – სსმ I, №6, 20.03.2001 წ., მუხ.12](#)  
[საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №765 – სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.18](#)  
[საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი №934 – სსმ I, №19, 02.07.2001წ., მუხ.64](#)  
[საქართველოს 2001 წლის 12 ოქტომბრის კანონი №1106 – სსმ I, №31, 01.11.2001წ., მუხ.123](#)  
[საქართველოს 2001 წლის 8 დეკემბრის კანონი №1193 – სსმ I, №36, 31.12.2001წ., მუხ.141](#)  
[საქართველოს 2002 წლის 1 მარტის კანონი №1316 – სსმ I, №5, 21.03.2002წ., მუხ.31](#)  
[საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1567 – სსმ I, №21, 12.07.2002წ., მუხ.95](#)  
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1619 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.109](#)  
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1621 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.110](#)  
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.112](#)  
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1637 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.118](#)  
[საქართველოს 2002 წლის 6 ნოემბრის კანონი №1708 – სსმ I, №30, 27.11.2002წ., მუხ.133](#)  
[საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1738 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.136](#)  
[საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1753 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.139](#)  
[საქართველოს 2002 წლის 22 ნოემბრის კანონი №1770 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.145](#)  
[საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1859 – სსმ I, №3, 17.01.2003წ., მუხ.12](#)  
[საქართველოს 2003 წლის 28 მარტის კანონი №2030 – სსმ I, №9, 16.04.2003წ., მუხ.49](#)  
[საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი №2291 – სსმ I, №15, 04.06.2003წ., მუხ.111](#)  
[საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2352 – სსმ I, №18, 24.06.2003წ., მუხ.116](#)  
[საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2577 – სსმ I, №23, 12.08.2003წ., მუხ.170](#)  
[საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2963 – სსმ I, №27, 10.09.2003წ., მუხ.198](#)  
[საქართველოს 2003 წლის 5 დეკემბრის კანონი №3136 – სსმ I, №32, 22.12.2003წ., მუხ.234](#)  
[საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3409 – სსმ I, №5, 04.03.2004წ., მუხ.18](#)  
[საქართველოს 2004 წლის 28 ოქტომბრის კანონი №549 - სსმ I, №33, 12.11.2004 წ., მუხ.158](#)  
[საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №604 - სსმ I, №37, 16.12. 2004 წ., მუხ.177](#)  
[საქართველოს 2004 წლის 9 დეკემბრის კანონი №662 - სსმ I, №37, 16.12.2004 წ., მუხ.184](#)



[საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №923 - სსმ I, №41, 30.12.2004 წ., მუხ.204](#)  
[საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №961 - სსმ I, №3, 14.01.2005წ., მუხ.12](#)  
[საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №976 - სსმ I, №4, 17.01.2005წ., მუხ.18](#)  
[საქართველოს 2005 წლის 25 თებერვლის კანონი №1056 - სსმ I, №9, 17.03.2005 წ., მუხ.61](#)  
[საქართველოს 2005 წლის 22 მარტის კანონი №1126 - სსმ I, №13, 12.04.2005 წ., მუხ.78](#)  
[საქართველოს 2005 წლის 13 მაისის კანონი №1442 - სსმ I, №23, 25.05.2005წ., მუხ.158](#)  
[საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1555 - სსმ I, №31, 27.06.2005წ., მუხ.193](#)  
[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1732 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.246](#)  
[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1753 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.251](#)  
[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1756 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.252](#)  
[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1768 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.253](#)  
[საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1789 - სსმ I, №40, 18.07.2005წ., მუხ.277](#)  
[საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1857 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.257](#)  
[საქართველოს 2005 წლის 9 ნოემბრის კანონი №2024 - სსმ I, №48, 29.11.2005წ., მუხ.321](#)  
[საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2262 - სსმ I, №56, 28.12.2005წ., მუხ.389](#)  
[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 - სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)  
[საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3173 - სსმ I, №17, 30.05.2006წ., მუხ.117](#)  
[საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3180 - სსმ I, №17, 30.05.2006წ., მუხ.125](#)  
[საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3382 - სსმ I, №24, 29.06.2006წ., მუხ.190](#)  
[საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3396 - სსმ I, №26, 14.07.2006 წ., მუხ.217](#)  
[საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3500 - სსმ I, №35, 03.08.2006 წ., მუხ.256](#)  
[საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3516 - სსმ I, №36, 04.08.2006 წ., მუხ.261](#)  
[საქართველოს 2006 წლის 7 დეკემბრის კანონი №3835 - სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.316](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4232 - სსმ I, №50, 30.12.2006წ., მუხ.383](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4258 - სსმ I, №51, 31.12.2006წ., მუხ.418](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4283 - სსმ I, №5, 15.01.2007წ., მუხ.66](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4296 - სსმ I, №1, 03.01.2007წ., მუხ.8](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4305 - სსმ I, №51, 31.12.2006წ., მუხ.413](#)  
[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4326 - სსმ I, №4, 12.01.2007წ., მუხ.63](#)  
[საქართველოს 2007 წლის 2 მარტის კანონი №4413 - სსმ I, №8, 23.03.2007წ., მუხ.77](#)  
[საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4600 - სსმ I, №11, 10.04.2007წ., მუხ.104](#)  
[საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი №4713 - სსმ I, №18, 22.05.2007წ., მუხ.143](#)  
[საქართველოს 2007 წლის 5 ივნისის კანონი №4863 - სსმ I, №22, 19.06.2007წ., მუხ.192](#)  
[საქართველოს 2007 წლის 8 ივნისის კანონი №4917 - სსმ I, №22, 19.06.2007წ., მუხ.200](#)  
[საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი №5179 - სსმ I, №28, 18.07.2007წ., მუხ.276](#)  
[საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5242 - სსმ I, №29, 27.07.2007წ., მუხ.306](#)  
[საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5244 - სსმ I, №29, 27.07.2007წ., მუხ.303](#)  
[საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5272 - სსმ I, №30, 30.07.2007წ., მუხ.343](#)  
[საქართველოს 2007 წლის 20 ნოემბრის კანონი №5471 - სსმ I, №40, 03.12.2007წ., მუხ.382](#)  
[საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5627 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.417](#)  
[საქართველოს 2008 წლის 18 ივნისის კანონი №25 - სსმ I, №11, 04.07.2008წ., მუხ.81](#)  
[საქართველოს 2008 წლის 2 ოქტომბრის კანონი №309 - სსმ I, №24, 20.10.2008წ., მუხ.155](#)  
[საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №620 - სსმ I, №35, 05.12.2008წ., მუხ.226](#)  
[საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №630 - სსმ I, №36, 12.12.2008წ., მუხ.238](#)  
[საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონი №956 - სსმ I, №41, 30.12.2008წ., მუხ.330](#)  
[საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1142 - სსმ I, №9, 13.04.2009წ., მუხ.36](#)  
[საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1388 - სსმ I, №21, 03.08.2009წ., მუხ.106](#)  
[საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2389 - სსმ I, №48, 29.12.2009წ., მუხ.367](#)  
[საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2384 - სსმ I, №50, 31.12.2009წ., მუხ.401](#)  
[საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2512 - სსმ I, №3, 13.01.2010წ., მუხ.9](#)  
[საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი №2914 - სსმ I, №20, 19.04.2010წ., მუხ.115](#)  
[საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №3007 - სსმ I, №23, 04.05.2010წ., მუხ.142](#)  
[საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3054 - სსმ I, №26, 20.05.2010წ., მუხ.174](#)  
[საქართველოს 2010 წლის 18 ივნისის კანონი №3116 - სსმ I, №30, 29.06.2010წ., მუხ.193](#)  
[საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3160 - სსმ I, №34, 09.07.2010წ., მუხ.201](#)  
[საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3166 - სსმ I, №34, 09.07.2010წ., მუხ.202](#)  
[საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი №3361 - სსმ I, №41, 21.07.2010წ., მუხ.261](#)  
[საქართველოს 2010 წლის 16 ივლისის კანონი №3448 - სსმ I, №44, 28.07.2010წ., მუხ.275](#)  
[საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3554 - სსმ I, №46, 04.08.2010წ., მუხ.280](#)  
[საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3535 - სსმ I, №47, 05.08.2010წ., მუხ.305](#)





[საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №946 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №909 - ვებგვერდი, 21.06.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №970 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი №1118 - ვებგვერდი, 13.07.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1279 - ვებგვერდი, 28.07.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1268 - ვებგვერდი, 29.07.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1715 - ვებგვერდი, 14.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1716 - ვებგვერდი, 14.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 15 დეკემბრის კანონი №1755 - ვებგვერდი, 28.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 15 დეკემბრის კანონი №1776 - ვებგვერდი, 28.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2054 - ვებგვერდი, 26.03.2018წ.](#)

#### **მუხლი 240. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

2. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა. ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა, მათი არსებობის შემთხვევაში.

2<sup>1</sup>. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი გამომცემი უფლებამოსილი პირი. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ მისი ამობეჭდვის შემთხვევაში.

3. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.

[საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი №2456 - სსმ I, №50, 31.12.2009წ., მუხ.394](#)

[საქართველოს 2011 წლის 17 მაისის კანონი №4684 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.](#)

#### **მუხლი 240<sup>1</sup>. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის განსაზღვრა**

1. ამ კოდექსის 103-ე და 107<sup>4</sup> მუხლებით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> მუხლით, 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებითა და 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ოქმის შინაარსი შეიძლება არ ითვალისწინებდეს ამ კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

[საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონი №956 - სსმ I, №41, 30.12.2008წ., მუხ.330](#)

[საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4035 - სსმI, №76, 29.12.2010 წ., მუხ.490](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4451 - ვებგვერდი, 25.03.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის კანონი №5097 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5919 - ვებგვერდი, 03.04.2012წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის კანონი №1960 - ვებგვერდი, 19.02.2014წ.](#)

#### **მუხლი 241. ოქმის გაგზავნა**

ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

#### **მუხლი 242. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება**

1. ამ კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლით, 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 107-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით, 112-ე მუხლით, 113-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 114-ე და 115-ე მუხლებით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 129-ე მუხლით, 130-ე მუხლით (გარდა 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 179<sup>4</sup> და 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა



ჩადენისას, აგრეთვე სხვა შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება სამართალდამრღვევის დაჯარიმება და მისთვის ჯარიმის გადახდევინება, ხოლო გაფრთხილება ფორმდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი არ დგება.

[1. ამ კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლით, 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 107-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 112-ე, 114-ე და 115-ე მუხლებით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 129-ე მუხლით, 130-ე მუხლით (გარდა 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 179<sup>4</sup> და 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, აგრეთვე სხვა შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება სამართალდამრღვევის დაჯარიმება და მისთვის ჯარიმის გადახდევინება, ხოლო გაფრთხილება ფორმდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ დგება. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან)]

2. ამ კოდექსის 86<sup>1</sup>, 107<sup>5</sup>, 114<sup>2</sup>, 116-ე-116<sup>3</sup> და 118-ე-122-ე მუხლებით, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129<sup>1</sup>, 190-ე და 190<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ამ კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 და 2<sup>1</sup> ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

3. თუ სამართალდამრღვევი სადავოდ ხდის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დადებულ ადმინისტრაციულ სახდელს, შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, გარდა ამ კოდექსის 98<sup>1</sup>, 179<sup>4</sup> და 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა.

3<sup>1</sup>. ამ კოდექსის 55<sup>5</sup>, 151<sup>1</sup> და 152<sup>3</sup> მუხლებითა და 153<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

3<sup>2</sup>. ამ კოდექსის 98<sup>1</sup>, 179<sup>4</sup> და 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამართალდამრღვევს გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

3<sup>3</sup>. ამ კოდექსის 177<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

4. ამ კოდექსის 107<sup>4</sup> მუხლით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> მუხლით და 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას, ამ კოდექსის 209<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. თუ სამართალდამრღვევი ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, საჯარიმო ქვითარი (ოქმი) განთავსდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

4<sup>1</sup>. ამ კოდექსის 209<sup>3</sup> მუხლის 2<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. თუ სამართალდამრღვევი სადავოდ გახდის ამ კოდექსის 209<sup>3</sup> მუხლის 2<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელს, მაშინ შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

5. ამ კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზევე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც ივსება ბურთულიანი კალმით ან/და ელექტრონული ფორმით.

#### შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითარის ფორმას, მისი შევსებისა და შინაგან საქმეთა ორგანოში წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

2. ამ მუხლის 3<sup>1</sup>, მე-4, 4<sup>1</sup> და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითარის ფორმას და მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის





წარმომადგენლობითი ორგანო.

3. ამ მუხლის 3<sup>2</sup> ნაწილით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

3<sup>1</sup>. ამ მუხლის 3<sup>3</sup> ნაწილით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის გამოწერის უფლებამოსილების მქონე პირის განსაზღვრის წესს, საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

4. რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას, მისი შევსების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

[საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება №408 – საქართველოს](#)

[სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №10-ის დანართი, ოქტომბერი, 1985 წ., მუხ.370](#)

[საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება №1370 – საქართველოს სსრ](#)

[უმაღლესი საბჭოს უწყებები, №8, აგვისტო, 1987 წ., მუხ.207](#)

[საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 5 ივნისის ბრძანებულება №2156 – საქართველოს სსრ](#)

[უმაღლესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1989 წ., მუხ.72](#)

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის](#)

[სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი №696 – პარლამენტის უწყებანი, №23-24, 07.06.1997წ., გვ. 3](#)

[საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი №2148 – სსმ I, №27\(34\), 06.07.1999წ., მუხ.143](#)

[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.112](#)

[საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი №2291 – სსმ I, №15, 04.06.2003წ., მუხ.111](#)

[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1753 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.251](#)

[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 - სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)

[საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონი №956 - სსმ I, №41, 30.12.2008წ., მუხ.330](#)

[საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1142 - სსმ I, №9, 13.04.2009წ., მუხ.36](#)

[საქართველოს 2009 წლის 20 ოქტომბრის კანონი №1812- სსმ I, №30, 02.11.2009წ., მუხ.187](#)

[საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №3007 - სსმ I, №23, 04.05.2010წ., მუხ.142](#)

[საქართველოს 2010 წლის 28 ოქტომბრის კანონი №3779 - სსმ I, №63, 10.11.2010 წ., მუხ.406](#)

[საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4067 - სსმ I, №74, 24.12.2010 წ., მუხ.457](#)

[საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4035 - სსმ I, №76, 29.12.2010 წ., მუხ.490](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4451 – ვებგვერდი, 25.03.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4464 – ვებგვერდი, 05.04.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 3 ივნისის კანონი №4735 - ვებგვერდი, 22.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4960 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის კანონი №5097 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5919 – ვებგვერდი, 03.04.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6147 – ვებგვერდი, 25.05.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6156 – ვებგვერდი, 25.05.2012წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის კანონი №1960 - ვებგვერდი, 19.02.2014წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 26 დეკემბრის კანონი №2998 – ვებგვერდი, 12.01.2015წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4624 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონი №4790 - ვებგვერდი, 07.03.2016წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 13 აპრილის კანონი №4953 - ვებგვერდი, 26.04.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 17 მაისის კანონი №861 – ვებგვერდი, 30.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №946 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №973 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის კანონი №1415 - ვებგვერდი, 08.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1715 - ვებგვერდი, 14.12.2017წ.](#)

### **მუხლი 243. დამრღვევის მიყვანა**

1. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, დამრღვევი პოლიციის მუშაკმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა, აღსრულების პოლიციელმა ამ მიზნით შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში.

2. სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის წესების, მოძრაობის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, ტრანსპორტზე ტვირთის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის, სახანძრო უსაფრთხოების, ტრანსპორტზე სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ დამრღვევს არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთი და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მის შესახებ საჭირო ცნობების მიწოდება.

2<sup>1</sup>. ამ კოდექსის 55<sup>5</sup>, 107<sup>2</sup> და 107<sup>3</sup> მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“



ქვეპუნქტითა და 135-ე, 146<sup>1</sup>, 151<sup>1</sup>, 151<sup>2</sup> და 153<sup>6</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სამართალდამრღვევი სამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ მას არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ.

3. ტყითსარგებლობის წესების ან ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისას და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა დარღვევისას ოქმის შედგენის მიზნით, თუ დარღვევის ადგილზე დამრღვევის ვინაობის დადგენა შეუძლებელია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოთა უფლებამოსილ პირებს, აგრეთვე პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ ამ სამართალდარღვევის (სამართალდარღვევათა) ჩამდენი პირი (პირები) მიიყვანონ პოლიციაში.

4. ისეთი სამართალდარღვევის ჩადენისას, რომელიც დაკავშირებულია დაცული ობიექტის ხელყოფასთან ან აღნიშნულ ობიექტზე არსებული სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევასთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან, დამრღვევი შესაბამისად პოლიციის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ან სხვა გასამხედროებული დაცვის მუშაკებმა შეიძლება მიიყვანონ პოლიციაში ან გასამხედროებული დაცვის სამსახურებრივ შენობაში სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამრღვევის პიროვნების დასადგენად და სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დამრღვევის მიყვანის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხდება დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება. იგი მიყვანილი უნდა იქნეს რაც შეიძლება მცირე დროში

6. (ამოღებულია - 01.08.2014, №2649).

[საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება №408 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №10-ის დანართი, ოქტომბერი, 1985 წ., მუხ.370](#)

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.1, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/263 – სსმ IV, №3, 15.02.2005 წ., გვ.2](#)

[საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1768 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.253](#)

[საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონი №956 - სსმ I, №41, 30.12.2008წ., მუხ.330](#)

[საქართველოს 2009 წლის 20 ოქტომბრის კანონი №1812- სსმ I, №30, 02.11.2009წ., მუხ.187](#)

[საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4067 - სსმI, №74, 24.12.2010 წ., მუხ.457](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4429 – ვებგვერდი, 17.03.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 3 ივნისის კანონი №4735 - ვებგვერდი, 22.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4958 - ვებგვერდი, 11.07.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის კანონი №5097 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი №5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №453 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონი №2649 - ვებგვერდი, 18.08.2014წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 26 დეკემბრის კანონი №2998 – ვებგვერდი, 12.01.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონი №4788 - ვებგვერდი, 07.03.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1715 - ვებგვერდი, 14.12.2017წ.](#)

## თავი XIX. ადმინისტრაციული დაკავება, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა

### მუხლი 244. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის წესები განისაზღვრება ამ კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.1, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონი №2649 - ვებგვერდი, 18.08.2014 წ.](#)

### მუხლი 245. ადმინისტრაციული დაკავება

1. ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს:



- ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი;
  - ბ) რომ აქვს უფლება ადვოკატზე;
  - გ) რომ აქვს უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.
2. არასრულწლოვნის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე ეცნობება მის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.
3. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა.
4. დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.
- 4<sup>1</sup>. ამ კოდექსის 177<sup>13</sup> მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად სამართალდარღვევის აღკვეთის ან/და სამართალდამრღვევის გამოვლენის მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაში პოლიცია ახორციელებს ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
5. ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელშიც აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და საფუძველი. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში მიეთითება.
- [საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონი №2649 - ვებგვერდი, 18.08.2014 წ.](#)  
[საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №946 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.](#)

### **მუხლი 246. ორგანოები (თანამდებობის პირები), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული დაკავების უფლება**

ამ კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), კერძოდ:

- ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩადენის, შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
  - ბ) გასამხედროებული დაცვის უფროს თანამდებობის პირს დასაცავი ობიექტის განლაგების ადგილას – დასაცავი ობიექტის, სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში;
  - გ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ დასაცავი პირისა და დასაცავი ობიექტის დაცვითი ღონისძიების განხორციელების ადგილას – დასაცავი პირისა და დასაცავი ობიექტის ხელყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, აგრეთვე ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
  - დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, საგადასახადო ორგანოს – საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში;
  - ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს – ამ კოდექსით მათი ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში;
  - ვ) აღსრულების პოლიციელს – ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში;
  - ზ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომლებს – ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
- [საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება №408 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №10-ის დანართი, ოქტომბერი, 1985 წ., მუხ.370](#)  
